

**საქართველოს კანონი  
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 18.05.2005წ., მუხ. 151) საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სატენდერო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის პრეტენდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის ახლო ნათესავი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით არსებული პრეტენდენტი იურიდიული პირის დამფუძნებელი ან წევრი, ან წევრი, რომელსაც აქვს წილი პრეტენდენტი იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში.“.

**მუხლი 2.**

ეს კანონი ამოქმედდეს 2006 წლის 1 სექტემბრიდან.

*საქართველოს პრეზიდენტი*

*მიხეილ სააკაშვილი*